



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება

№ 1-1/116

16 / მარტი / 2018 წ.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 ნოემბრის № 2388 განკარგულების და „რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის (უფლებამონაცვლე „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი“) 2017 წლის 27 ნოემბრის №87 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გამოცხადდეს განმეორებითი ინტერესთა გამოხატვა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ამ ბრძანების დახართში მოცემული პირობებით.
2. წინამდებარე ბრძანება და თანდართული „რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები“ განთავსდეს სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.economy.ge.

მინისტრი

დიმიტრი ქუცისიშვილი